ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119260282**

თარიღი:**28/01/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად და ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების მეთოდი, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესი" დანართის №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ფუნქციებისა და კომპეტენციების გაცნობის ოქმი" დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების ოქმი" დანართი №3-ის შესაბამისად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი